

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

წარმოადგენილი კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტის წევრს აძლევს საშუალებას განახორციელოს თავისი პროფესიის მიხედვით საკონსულტაციო საქმიანობა.

სამედიცინო კონსულტაცია თავისთავად მიმდინარეობს დროის მცირე მონაკვეთში. იგი შეიძლება წინასწარ დაიგეგმოს არასაპუშო პერიოდში ისე, რომ პარლამენტის წევრს არ შეეშალოს ხელი ძირითადი საქმიანობის განხორციელებაში. პრაქტიკოსი ექიმი, მოუხედავად მისი პარლამენტის წევრად არჩევისა შეტად შეზღუდულად, მაგრამ სადეპუტატო საქმიანობის პარალელურად მაინც აგრძელებს კონსულტაციებს.

ამ ცვლილებით ხელი შეუწეობა პარლამენტის წევრის კვადაგორგორ, სამეცნიერო და სახელოვნებო საქმიანობასთან ერთად სამედიცინო-საკონსულტაციო საქმიანობის ღვალიზებას.

კანონპროექტის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ არ გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი გიორგი გეგელაშვილი.

ინიციატორი საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.